პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 114 (3091) 15 1966 წ. ივნისი. ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

## ჩვენი ქვეყნის ქალაქებში

### საკროსო მოტოციკლი

რიგის ქარხანა „სარკანა ზვაიგზნემ“ გამოუშვა სპორტული სარბოლო მოტოციკლის საცდელი ნიმუში. მოტოციკლი განკუთვნილია საკროსო დისტანციებისთვის. 50 კბ სმ სიმძლავრის მანქანას შეუძლია ერთობ დასერილ ტრასაზე საათში 65 კმ სისწრაფე განავითაროს.

რიგა.

### მთები გვიხმობს

იალბუზისპირეთში გაიხსნა ალპინისტური სეზონი. პირველმა სტუმრები მიიღო შხელდის ბანაკმა, რომელიც თვალწარმტაც ადილ-სუს ხეობაში მდებარეობს. ჩამოსულთა უმრავლესობას ამჯერად ახალბედები შეადგენენ. მზიურ ყაბარდო-ბალყარეთში მიმდინარე ზაფხულს გაატარებს 5 ათასზე მეტი მთამსვლელი.

ნალჩიკი.

### ზაფხულში თხილამურებზე

ჩამქრალი ვულკანების ძირში და დათოვლილ მთებზე სამთო-მოთხილამურეები დაქრიან. აქ გათამაშდა „სპარტაკის“ სამთო ბაზის ჯილდო. კამჩატკელმა სლალომისტებმა გამოცადეს თავისი ნაკრები, რომელიც რუსეთის საზაფხულო პირველობაში მიიღებს მონაწილეობას. ეს ასპარეზობა აგვისტოს პირველ რიცხვებში გაიმართება ავაჩინსკის ვულკანის ფერდობებზე. იასპარეზებენ სსრ კავშირის უძლიერესი სამთო-მოთხილამურეები — ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური ნაკრები გუნდის წევრები.

კამჩატკის პეტროპავლოვსკი.

### სუმგაითის სპორტული სიჭაბუკე

სუმგაითის 22 ათასზე მეტი მშრომელი აქტიურად მეცადინეობს სპორტულ სექციებში. მომეცადინეთა საშუალო ასაკი 28 წელია. ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის კარგად დაყენებისთვის სიჭაბუკის ქალაქს მიეკუთვნა აზერბაიჯანის კომპარტიისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

მშენებლებმა ჩინებული საჩუქარი მიუძღვნეს ქალაქის სპორტსმენებს. ეს არის ახალი სპორტული კომპლექსი — სტადიონი 20 ათასი მაყურებლისთვის და ხელბურთის დარბაზი.

სუმგაითი.

### უკრაინის სოფლის სტადიონები.

ზაფხულის სეზონისთვის კარგი საჩუქარი მიიღეს ტეტიევის რაიონის სოფლის სპორტსმენებმა — სტადიონი საფეხბურთო მინდვრით, სარბენი ბილიკით, სპორტთამაშობათა მოედნებით.

ამჟამად უკრაინის სოფლებსა და რაიონულ ცენტრებში 290 ასეთი სპორტული კომპლექსია. მალე მწყობრში ჩადგება კიდევ 150 სტადიონი.

ეს ბაზები საზოგადოება „კოლგოსპნიკისა“ და ადგილობრივი ორგანიზაციების თანხებით იგება. სამუშაოს დიდ ნაწილს საზოგადოებრივ საწყისებზე ასრულებენ თვით ფიზკულტურელები.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შეიქმნა 10 ათასამდე მარტივი ტიპის სპორტული ნაგებობა.

კიევი.

## ხუთწუთიანი საათი...

◆ ლონდონი, 14 ივნისი. მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონატის — უიმბლდონის ტურნირის წინ საბჭოთა ჩოგბურთელებმა აქ კიდევ ერთ შეჯიბრებაში მიიღეს მონაწილეობა: სამეფო კლუბის ტურნირში (ასპარეზობა გაიმართა ბალახის კორტებზე). პირველ წრეში ლიხაჩოვმა მოუგო ვან ლინგენს (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) — 2:6, 6:4, 6:4, მეტრეველმა — კოტრილს (ავსტრალია) — 6:4, 6:0, ბაკშეევამ — ტრუმენს (ინგლისი) — 6:3, 6:2. ბეკნემ-კლუბის ტურნირში გამარჯვებული კოროტკოვი ამჯერად დამარცხდა ავსტრალიელ ჰოუსთან—8:10, 6:3, 4:6. სხვა შეხვედრებიდან აღსანიშნავია მსოფლიოს სამოყვარულო ჩოგბურთის პირველი ნომრის ემერსონის (ავსტრალია) ძნელი მოგება სეგალთან (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) მატჩში — 6:1, 14:16, 6:1.

◆ მოსკოვი, 14 ივნისი. ხვალ ინგლისს მიემგზავრებიან საბჭოთა მძლეოსნები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ამ ორი ქვეყნის სპორტსმენთა ტრადიციულ მატჩში.

## გუშინ...

თბილისის „დინამოს“ სტადიონზე დამთავრდა საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება მძლეოსნობაში. ნორჩმა ათლეტებმა ჩვენი რესპუბლიკის კიდევ 2 რეკორდი დაამყარეს: საშუალო ასაკის ჭაბუკთა შორის შუბის ტყორცნაში დუშეთელმა ი. წიკლაურმა (მწვრთნელი ვ. ვდოვინი) 58,86 მეტრი აჩვენა, რაც 78 სანტიმეტრით ჯობს თბილისელი ა. კუჭუხიძის მიერ 12 წლის უკან დამყარებულ რეკორდს.

მეორე რეკორდის ავტორია თბილისელი ი. ცანავა (მწვრთნელი ვ. ნედაშკოვსკი), რომელმაც 3000 მეტრზე რბენაში გადალახა რეკორდის სარეგისტრაციო საწყისი ნორმა — 9.30,0. ცანავას შედეგია 9.11,6.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს: I ჯგუფში — თბილისის I გუნდმა, II ჯგუფში — მახარაძის კოლექტივმა.

თბილისის სპორტის სასახლეში შედგა კალათბურთელ ვაჟთა საერთაშორისო მატჩი. ვარშავის ფიზკულტურის ინსტიტუტის სასპორტო კლუბის სპორტსმენებს შეხვდა თბილისის ნაკრები. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 64:57.

# მინდორზეა: ჩემპიონი და ექს-ჩემპიონი

მოსკოვი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 14 ივნისი.

„ტორპედო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი) 1:1 (1:0).

„ტორპედო“: შაპოვალენკო, ანდრეიუკი, შუსტიკოვი, მარუშკო, სარაევი, ლენიოვი, ბრედნევი, მიხაილოვი (შალიმოვი), სტრელცოვი, შჩერბაკოვი, სერგეევი.

„დინამო“: ურუშაძე, პეტრიაშვილი, ჰელიძე, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, ხართიშვილი (მაისურაძე), ილიადი, დათუნაშვილი, ბარქაია, იამანიძე, მესხი.

მსაჯი კ. ანძიულისი (კაუნასი).

დუბლიორები — 2:2.

ის ანგარიში, რომელიც სამსაჯო ოქმში იწერება, საბოლოოა. 1:1. ასეთი იყო 14 ივნისის მატჩის საბოლოო შედეგი, მაგრამ ოქმის ოფიციალური კონსტატაციის გარდა არის კიდევ სხვა მაჩვენებლები, არის თვით მატჩის პერიპეტიები, რომლებსაც სულ სხვა მხრივ შეუძლიათ წარმოგვიდგინონ თამაშის მსვლელობა და ძალთა შეფარდება.

მას შემდეგ, რაც თბილისელებმა ვერ გამოიყენეს რამდენიმე კარგი შესაძლებლობა და მესხმა ტექნიკურად შესანიშნავად შესრულებული დარტყმა ძელს მოახვედრა, „ტორპედომ“ სრულიად ელემენტარულად გამოიყენა დინამოელთა მიერ მინდვრის შუაგულში დაშვებული შეცდომა და სტრელცოვმა მე-16 წუთზე გახსნა ანგარიში — 1:0.

მართალი გითხრათ, ჩვენ, ტრიბუნებზე მსხდომთ გვეგონა, რომ ამ გოლს მოჰყვებოდა დინამოელთა დაცვის არევა, ახალი შეცდომები, მაგრამ მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თამაში ძველებურ რიტმში გრძელდებოდა და 30-ე წუთზე დათუნაშვილს საპასუხო ბურთის გატანის შესაძლებლობა მიეცა, რომელიც მხოლოდ მისი აჩქარების მიზეზით არ იქნა განაღდებული.

მეორე ტაიმი თბილისელებმა საუკეთესოდ ჩაატარეს. მათ დიდხანს ეპყრათ ხელთ თამაშის სადავეები და საწადელს გუნდმა მაინც მიაღწია. 83-ე წუთზე ბარქაიამ თავური დარტყმით დაამთავრა კომბინაცია და გაათანაბრა ანგარიში — 1:1. სწორედ ამ პერიოდში ჰქონდათ სტუმრებს საგრძნობი უპირატესობა, მაგრამ ისინი დასჯერდნენ მხოლოდ ფრეს და იმ ანგარიშს, რომელიც საბოლოოდ იქნა ფიქსირებული მატჩის ოქმში.

ვ. პავლოვი.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

## „ბ“ კლასი IV ზონა

13 ივნისს გაიმართა მორიგი შეხვედრები საკავშირო პირველობაზე „ბ“ კლასის რსფსრ-ს IV ზონის ფეხბურთელთა გუნდებს შორის.

რუსთავის „მეტალურგი“ თამაშობდა მახაჩყალაში ადგილობრივი „დინამოს“ წინააღმდეგ. მატჩი მოიგეს მასპინძლებმა — 2:0.

დერბენტში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „უროჟაი“ და გურჯაანის „ალაზანი“. გამარჯვება აქაც მასპინძლებს ხვდათ წილად — 1:0.

მარცხი განიცადა ტყიბულის „მეშახტემაც“, რომელიც ორჯონიკიძეში ეთამაშებოდა იქაურ „სპარტაკს“. ანგარიშია 2:0.

* * *

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) —„ლორი“ (კიროვაკანი) 1:0, „უროჟაი“ (კრიმსკი) — „სევანი“ (ოქტემბერიანი) 2:0, „უროჟაი“ (მაიკოპი) — „ლერნაგორცი“ (კაფანი) 2:3, „ურალანი“ (ელისტა) — „არაქსი“ (ერევანი) 0:0.

სურათზე აღბეჭდილია გოლი, რომელიც ქუთაისის „ტორპედოს“ ცენტრალურმა თავდამსხმელმა ვ. ჩხარტიშვილმა გუშინწინ გაიტანა ლენინგრადის „ზენიტის“ კარში. ჯ. ხაჟალიამ საჯარიმო დარტყმიდან ბურთი თავს ზემოთ გადაუგდო ზენიტელთა დაცვის კედელს. ჩხარტიშვილმა სწორად აულო ალღო გადაცემას, „გაარღვია“ კედელი და... ეს ბურთი ერთადერთი აღმოჩნდა ამ შეხვედრაში.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

(ჩვენი სპეც. კორ.).



8 მატჩი, ერთადერთი ფრე, 18 გატანილი გოლი. ასეთი იყო 13-14 ივნისს გამართული შეხვედრების შედეგები. მიუხედავად იმისა, რომ კიევის დინამოელები ამ ტურში არ თამაშობდნენ, მათ ქულების მარაგი მაინც ეყოთ საიმისოდ, რომ შეენარჩუნებინათ ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერობა, მაგრამ მოსკოვის „სპარტაკს“ მეორე ადგილის დათმობა მოუხდა როსტოვის არმიელთათვის, რომლებმაც გუშინწინ საკუთარ მინდორზე დაამარცხეს ალმა-ათის „კაირატი“. მართალია, ანგარიში გახსნეს სტუმრებმა (კვოჩკინი), შემდეგში არმიელთა უპირატესობა ცხადი შეიქნა. მატვეევმა, კუჩინსკასმა და კოპაევმა სამჯერ აიღეს მეტოქის კარი.

ერთნაირი ანგარიში იქნა ფიქსირებული „ნეფტიანიკისა“ და „ჩერნომორეცის“, მინსკის „დინამოსა“ და „შახტიორის“, ოდესის არმიელთა გუნდისა და „პახტაკორის“ შეხვედრებში. პირველ ორ შემთხვევაში ერთადერთმა ბურთმა გამარჯვება მოუტანა მასპინძლებს, ბოლო შემთხვევაში კი მოგებული დარჩა „პახტაკორი“. ბაქოელთაგან ბურთი გიტანა ს. მელქუმოვმა (პენალტი), მინსკელთაგან — ვასილიევმა, ხოლო „პახტაკორიდან“ — იბრაჰიმოვმა.

მოსკოვის დინამოელებმა „ტრადიციული“ მარცხი განიცადეს კუიბიშევში (ამჯერად, 0:2). პირველი ბურთის ავტორი იყო „კრილია სოვეტოვის“ თავდამსხმელი კიკინი, ხოლო მეორისა... დინამოელთა მცველი შტაპოვი.

ყველაზე მეტი გოლი იქნა გატანილი მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და ცსკა-ს მატჩში. არმიელებმა ხუთჯერ აიძულეს რკინიგზელები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში (ფედოტოვი — 2, კაზაკოვი, ვარგა, სეკეჩი), „ლოკომოტივის“ მაქსიმუმი იყო მხოლოდ 1 ბურთი (კოზლოვი).

სნაიპერთა შორის მოხდა გადაადგილებანი. პირველ ადგილზე 7 ბურთით იმყოფება როსტოველი მატვეევი. 6-6 გოლი ირიცხება ჩხარტიშვილის (ქუთაისის „ტორპედო“), ა. ბიშევეცისა და ა. ბიბას (ორივენი — კიევის „დინამო“) ხარჯზე.

„ა“ კლასი I ჯგუფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# [illegible]

● **კლაგენფურტი, 13 ივნისი.** ავსტრიის ამ ქალაქის მახლობლად მდებარე ვერტერზეეს ტბაზე გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს წყალქვეშა სპორტის საბჭოთა ოსტატებმა. ტურნირში მონაწილეობდნენ ავსტრიის, ბულგარეთის, გფრ-ის, იტალიის, შვეიცარიისა და სსრ კავშირის გუნდების სპორტსმენები. საბჭოთა წყალქვეშელებმა მოიპოვეს გუნდური მთავარი პრიზი და პირველნი იყვნენ პირად ჩათვლაში. I-II ადგილებზე გავიდნენ კიეველები ლისენკო და უსპენსკი, III იყო იტალიელი კალცონი, ხოლო IV — მოსკოველი მენშიკოვი.

● **ჰ ე ლ ს ი ნ კ ი, 13 ივნისი.** ევროპის ჩემპიონატში მრგვალ სტენდზე გამარჯვებების შემდეგ საბჭოთა მსროლელებმა ვერაფერი მოიმკეს ადგილიდან სროლაში. ლაჰტიში ჩატარებულ შეჯიბრებებში მათ იმდენად უხეიროდ აიღეს სტარტი, რომ ჩვეულებრივზე ცუდი შედეგები აჩვენეს. ამასთან, ავად გახდა მოსკოველი კულაკოვი, რის გამოც საბჭოთა გუნდმა ჩათვლა ვერ მიიღო. გაიმარჯვეს იტალიელმა სპორტსმენებმა — 763 ქულა 800-დან. II ადგილზე არიან რუმინელები — 759, ხოლო III — ფრანგები — 755. ვაჟების წარუმატებლობა რამდენადმე გამოასწორეს ქალებმა და იუნიორებმა. ტაშკენტელი მოსწავლე ალიპოვი ევროპის ჩემპიონი გახდა იუნიორთა შორის. მან 191 ქულა დააგროვა 200-დან. კონტინენტის ჩემპიონი გახდა მოსკოველი გერასინა — 174 ქულა 200-დან. გაუთამაშებელი დარჩა ოქროს მხოლოდ 1 მედალი — ვაჟების პირადი შეჯიბრებისა.

● **ვ ა რ შ ა ვ ა, 13 ივნისი.** დღეს პოლონეთის ქალაქ ოლშტინიდან დაბრკოლებათა გადალახვაში ევროპის პირველობაზე გაემგზავრნენ ცხენოსნური სპორტის საბჭოთა ოსტატები. პოლონეთის ამ ქალაქში მათ კონტინენტის ჩემპიონატის წინ გენერალური რეპეტიცია გამართეს. კონკურისტთა საერთაშორისო შეჯიბრებებში გათამაშებული 11 პრიზიდან საბჭოთა ცხენოსნებს ხვდათ მხოლოდ 1. მისი მფლობელი გახდა მოსკოველი კარტავსკი. იუნიორთა შორის არც თუ ცუდად გამოვიდა ევროპის შარშანდელი ჩემპიონატის მონაწილე, მოსკოველი კუზინი, რომელმაც IV ადგილები დაიკავა „ამორჩევით“ და „ნახტომის სიმძლავრეზე“ ასპარეზობაში. გუნდური მთავარი პრიზის — „ხალხთა თასის“ გათამაშებაში საბჭოთა ნაკრები აგრეთვე IV იყო (40 საჯარიმო ქულა). გამარჯვებულებს — გდრ-ის ცხენოსნებს 16 ქულა აქვთ. ახლა ჩვენი კონკურისტები ლიუცერნში გაემგზავრებიან ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც 18-21 ივნისს გაიმართება. საბჭოთა სპორტის ღირსებას დაიცავენ მოსკოველები კარტავსკი და შაბაილო, ხოლო საერთაშორისო შეჯიბრებებში — კუზინი და ნენახოვი.

## ა. შჩერბინა — IV ადგილზე

**სვერდლოვსკი, 13 ივნისი.** გუშინ აქ გაიმართა საინტერესო შეჯიბრება სპორტულ სიარულში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს რსფსრ-ს, აზერბაიჯანის, საქართველოს, ყაზახეთისა და ყირგიზეთის მძლეოსნებმა.

30-კილომეტრიანი დისტანცია ყველაზე სწრაფად გაიარა სვერდლოვსკელმა გ. აგაპოვმა—2:12.56,4. ეს შედეგი მნიშვნელოვნად აღემატება ოფიციალურ მსოფლიო მიღწევას.

II-III ადგილები გაიყვეს ვ. კრილოვმა (იჟევსკი) და მ. კორშუნოვმა (ივანოვო). IV ადგილზეა თბილისელი ა. შჩერბინა.

გამარჯვებული გუნდისთვის დაწესებული პრიზი — ჟურნალ „სპორტივნაია ჟიზნ როსიის“ თასი გადაეცა რუსეთის ფედერაციის I ნაკრებს.

37-მა მძლეოსანმა გადააჭარბა სპორტის ოსტატის ნორმას.

## ანგარიშია 18:8

**ს ო ხ უ მ ი, 14 ივნისი** (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინწინ შედგა სსრ კავშირისა და იუგოსლავიის მოჭადრაკეთა გუნდების ამხანაგური საერთაშორისო მატჩის II ტური.

ნ. გაფრინდაშვილს ისევ მოუწია თამაში ლ. იოჟიჩ-ქივკოვიჩთან. ქართველი ოსტატი ამჯერად უფრო მძაფრ წინააღმდეგობას წააწყდა, მაგრამ მან ბოლოს მაინც სძლია მეტოქეს.

დიდი ინტერესი გამოიწვია დიდოსტატების ე. გელერისა და ბ. ივკოვის შეხვედრამ. საბჭოთა მოჭადრაკემ მძლავრი იერიშით დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა.

დაზავებით დამთავრდა რ. ხოლმოვ — მ. მატულოვიჩის, ა. მატანოვიჩ — ე. ვასიუკოვის, ა. კუშნირ — კ. იოვანოვიჩის, ბ. პარმა — ა. ლუტიკოვისა და მ. დესპოტოვიჩ — ბ. გულკოს პარტიები. 3 პარტია გადაიდო.

II ტურის შემდეგ, გუშინ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება.

ვ. კორჩნოიმ ზუსტად გამოიყენა უპირატესობა დ. ჩირიჩთან შეხვედრაში და გაიმარჯვა. უკრაინის ჩემპიონმა ი. სახაროვმა მოუგო დიდოსტატ ა. მატულოვიჩს. ორ პარტიას ამთავრებდა იუგოსლაველი ა. ცვეტკოვიჩი: მან მოუგო თ. გიორგაძეს და დამარცხდა ვ. კუზმინთან.

უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა ბ. გურგენიძისა და დ. ველიმიროვიჩის პარტიის დამთავრება. მწვავე ვითარებაში გურგენიძემ მონახა ყაიმის მიღწევის გზა.

დღეს შედგა III ტური. გელერმა და კუზმინმა შესაბამისად მოუგეს მატანოვიჩსა და პეტროვიჩს. სახაროვ — ივკოვის, გურგენიძე — პარმას, ლუტიკოვ — მატულოვიჩისა და კურეს — ველიმიროვიჩის პარტიები ყაიმით დასრულდა.

4 შეხვედრა გადაიდო.

3 ტურის შემდეგ ანგარიშია 18:8 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ.

## ასეთი მერნებით შორს ვერ წავალთ

არ იქნა და არ იმატა თანამედროვე ხუთჭიდში რესპუბლიკურ ღონისძიებებში მონაწილე გუნდების რიცხვმა. საქართველოს გუნდურ პირველობაში, რომელიც ახლა ჩვენს დედაქალაქში ტარდება, მხოლოდ 4 კოლექტივი მონაწილეობს — 2 თბილისიდან, თითო — ქუთაისიდან და აფხაზეთიდან.

შეჯიბრება პროგრამის პირველ სახეობაში — ცხენოსნობაში — დელისის იპოდრომზე ჩატარდა. 1200-მეტრიან დისტანციაზე დასაძლევი იყო 18 დაბრკოლება. ასპარეზობის 16 მონაწილიდან მხოლოდ ოთხმა შეძლო სანუკვარი 1000-ქულიანი ზღვარის გადალახვა. დანარჩენ სპორტსმენთა გამოსვლა უფერული იყო. ამაში ბრალი ნაწილობრივ მერნებს მიუძღვით, ნაწილობრივ — მხედრებს. იყო შემთხვევები, რომ სპორტსმენს მხედრობა უჭირდა, ზოგი მხედარი კი მართლაც გააწამა უძლურმა, ჯაგლაგმა ცხენმა.

ეს საკითხი კვლავ მწვავედ დგას. თბილისის საცხენოსნო ბაზა ხუთჭიდელებს სათანადოდ ვერ ამარაგებს. მაგალითად, „დისკანტი“ რომ ასეთი საპასუხისმგებლო პირველობისთვის უვარგისი იყო, ეს იმთავითვე ცხადად ჩანდა, მაგრამ რაკი საკმარისი ცხენები არ ჰყავდათ, მსაჯთა კოლეგია იძულებული გახდა იგი ორჯერ გაეშვა დისტანციაზე. „დისკანტმა“ ორჯერვე ხელმოცარული დატოვა მხედრები.

თანამედროვე ტრასა მეტ მოთხოვნებს უყენებს მოასპარეზეთ. თანაც ნუ გვავიწყდება, რომ წინ მეტად საპასუხისმგებლო საკავშირო ასპარეზობებია.

შეჯიბრების პირველ დღეს ყველაზე მეტი ქულა — 2970 — თბილისის I გუნდმა მოაგროვა, აქედან 1050 ახალგაზრდა ოსტატს ჯ. ფოჩხუას ეკუთვნის. II იყო თბილისის II ნაკრები (2050), III — აფხაზეთის კოლექტივი (750).

ფარიკაობაშიც ყველას თბილისის I გუნდმა აჯობა — 3165 ქულა. კვლავ საუკეთესო იყო ჯ. ფოჩხუა, რომელმაც 20-დან 19 შეხვედრა მოიგო და გუნდს 1275 ქულა შესძინა. თბილისის II ნაკრებმა 2945 ქულა მოაგროვა. 2505 ქულა აქვთ აფხაზეთის სპორტსმენებს.

ორი სახეობის შემდეგ მდგომარეობა ასეთია: 1. თბილისი I — 5935 ქულა, 2. თბილისი II—4995, 3. აფხაზეთი — 3255.

**თ. გაჩეჩილაძე.**

# [illegible] მოგვითხრობს [illegible]

## ყოველი მხრიდან

### გულშემატკივართა წინააღმდეგ

პოლიცია 20 წუთის განმავლობაში ისროდა ტრიბუნებისკენ ცრემლსადენ ყუმბარებს და ძლივს დააწყნარა ზედმეტად ტემპერამენტიანი მაყურებლები „რესინგსა“ და „ლანუსს“ შორის არგენტინის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩის მსვლელობისას.

მსაჯმა ხ. ალვარესმა 11-მეტრიანი საჯარიმო დანიშნა „რესინგის“ კარში, მაგრამ „ლანუსმა“ შეძლო ანგარიშის გათანაბრება — 1:1.

და აი, ტრიბუნებსა და მინდორზე მუშტი-კრივი გაჩაღდა, ჰაერში ქვები და ბოთლები „ფრინავდა“, ხოლო „რესინგის“ კაპიტანი ო. მარტინი პოლიციელთან შეტაკების შემდეგ საკაცით გაიყვანეს მინდვრიდან. რამდენიმე წუთის შემდეგ თამაში განახლდა, მაგრამ, როცა „რესინგის“ ფეხბურთელებმა კიდევ 1 ბუ[...] კვლავ ალელდა.

აი, აქ კი პოლიცია იძ[...]ეუენებია.

**„ოლიმპიური რ[...]**

1968 წლის ზამთრის ო[...] ემზადება მომავალი მსოფლ[...] რობის წრეებში უარყვეს ც[...] შესრულება ძალზე ჩამორჩ[...] აიჭრება ცაში“, — განაც[...] ნისტრმა ფრანსუა მისოფმა [...] მიზნით.

მოსალოდნელია, რომ თ[...] მოყვარული.

ოლიმპიადისთვის მზად[...] ცენტს გაიღებს მთავრობა. [...] ლოდ მესამედი დაიხარჯება. [...] შეკეთებას, კავშირგაბმულობ[...]



## ყველ[...] ძმებ[...]

სსრ კავშირში ყ[...] რობენ. ესენი არი[...] მაისის ბოლოს მათ[...] დი ხვდათ წილად. [...] უმცროსია, არმიაშ[...] ნიის ომში, იყო პ[...] რის რევოლუცია [...] თავის ოცეულთან [...] მხარეზე გადავიდა[...] ცხოვრობს და პენ[...] ვალი წელი იშრომ[...]

ვლადიმერი ფო[...] მულობისა, არც ე[...] ვად გამოიყურება [...] 35 შვილიშვილი [...]

ს უ რ ა თ ზ ე: ძმ[...]

## რკინი[...]

ეს მეორდება ყოველი ოლიმპიადის შემდეგ: გამარჯვებულები, როგორც წესი, თავიანთ სპორტულ მიღწევებს აქვეითებენ. ეს, ალბათ, კანონზომიერი მოვლენა არც სპორტის მოყვარულებს მოსწონთ და არც თავად ფიცარნაგის გმირებს. მე ნაღდად ვიცი, რომ საბჭოთა ძალოსნებს ძალიან აწუხებთ გაჭიანურებული ტაიმ-აუტი. როგორც ცნობილია, ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონებმა დაკარგეს არა მარტო ევროპის, არამედ მსოფლიო გვირგვინიც. მართალია, ეს სეზონი ერთგვარი წარმატებით დაიწყო, მაგრამ ნოვოსიბირსკში ამას წინათ დამთავრებულმა საკავშირო ჩემპიონატმა გვიჩვენა, რომ კრიზისი კვლავ გრძელდება. გამარჯვებულთა შედეგები ბევრად ჩამოუვარდება შარშანდელი ჩემპიონების მიღწევებს ყველა წონით კატეგორიაში.

იმას, რაც ახლა სპორტის ამ სახეობაში ხდება, ძალოსნები „ციებ-ცხელებას“ უწოდებენ. მართლაც, მარტში, რიგის საერთაშორისო შეჯიბრებაში, სადაც საბჭოთა ათლეტებმა 3 რეკორდი დაამყარეს და 6 პირველი პრიზი მოიგეს, საუკეთესო სპორტსმენების შედეგები კვლავ დაეცა. საკითხავია, რატომ ვერ მოგვიტანა სასურველი კილოგრამები ორი თვის მოსამზადებელმა შეკადინებამ?

ვფიქრობ, რომ ნოვოსიბირსკის ტურნირი მეტყველებს არა მარტო ჩვენი მოწინავე ათლეტების სისუსტეზე, არამედ საპასუხისმგებლო გამოცდისთვის მზადების უსწორო სისტემაზეც. მთავარი დანაშაული მიუძღვით სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა მწვრთნელებს, რომლებსაც არ უნდათ შეიგნონ, რომ თანამედროვე პირობებში წვრთნის ძველი მეთოდები ყოვლად მიუღებელია.

მაგრამ ძალოსნობის თაყვანისმცემლებს აღელვებთ არა წვრთნის პრობლემა, არამედ საკითხი იმის შესახებ, შეძლებს თუ არა სსრ კავშირის ნაკრები დაიბრუნოს ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონთა ტიტულები. პირდაპირ ვიტყვი: ნოვოსიბირსკის ფიცარნაგზე ნაჩვენები შედეგებით ბერლინში გამარჯვებას ვერ მოიპოვებ. მაგრამ მჯერა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე (ეს ასპარეზობა ოქტომბერში გაიმართება) ჩვენი ნაკრების ყველა წევრი მოიკრებს იმდენ ძალას, რომ ტოლი არავის დაუდოს.

ჩვენს მთავარ მეტოქედ კვლავ პოლონელ ფალავანთა მებრძოლი რაზმი რჩება. ბოლოდროინდელი ცნობების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ პოლონეთის ძალოსნები „ოქროსთვის“ იბრძოლებენ 5 წონით კატეგორიაში: ქვემსუბუქში — მ. ნოვაკი, მსუბუქში — მ. ზელინსკი, ქვესაშუალოში — ვ. ბაჟანოვსკი, საშუალოში — ნ. ოზიმეკი და ე. კაჩკოვსკი, ქვემძიმეში — ი. პალინსკი და მ. გოლაბი (ამას წინათ გოლაბმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა აჭიმვაში და 0,5 კილოგრამით გააუმჯობესა ვ. გოლოვანოვის მიღწევა).

ნაკლებ სახიფათო როდია იაპონიის გუნდი. მართალია, ამ სეზონ[...] რჩილი იაპონელი ჰერკულესებ[...] ისე აქტიურად მოქმედებენ[...] როგორც ჩვენ წინათ დავ[...] მათ შეუძლიათ დროულად გ[...] ფხა. იაპონელები ოქროს [...] პრეტენდენტები არიან პირ[...] წონით კატეგორიაში.

ქვემძიმე წონაში მსოფ[...] პიონის ტიტულისთვის [...] ლ. მარტინი იბრძოლებს. ქვ[...] მძიმე წონებში პირველი [...] ლისთვის იასპარეზებენ აშშ-[...] ნები, რომლებიც არ კარგ[...] დიდების დაბრუნების იმედს.

მაშ ასე, ოქროს მედლების [...] ხელებულ მაძიებელთათვის [...] პირველი პრიზია საჭირო, [...] ში კი მხოლოდ 7 პრიზია და[...] სხვათა შორის, არაფერი [...] უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკი[...] ნებზე, მათ კი, როგორც [...] დიდი სურვილი აქვთ „ოქრო[...] შნონ მსოფლიო და ევროპის [...] ტებში მონაწილეობა ბერლინ[...]

— აბა, რაღა შეხვედება[...] ძალოსნებს? — მკითხა [...] გამოუსწორებელმა სკეპტიკ[...] სიბირსკის ჩემპიონატის დამ[...] თანავე.

მე ვუპასუხე, ბერლინში [...] სპორტსმენები ოქროს 3 მედ[...] მოიპოვებენ, ჩემპიონობისთვი[...]

— რა გზით განვითარდება ტანვარჯიში? როგორია მისი ხვალინდელი დღე? — ამ შეკითხვებით მიმართა აას-ის კორესპონდენტმა ა. ჩისტოვმა ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში ამას წინათ დამთავრებული საკავშირო პირველობისა და თასის გათამაშების მონაწილეებს, მსაჯებსა და მწვრთნელებს.

აი, პასუხები:

## ტანვარჯიშ[...]

**ლარისა ლატინინა,**

**სპორტის დამსახურებული ოსტატი.**

**არა მგონია,** რომ სპორტული ტანვარჯიშის ფორმა და შინაარსი ახლო მომავალში მკვეთრად შეიცვალოს. არაერთხელ მქონია შემთხვევა, მომესმინა სხვების აზრი იმის თაობაზე, რომ ტანვარჯიშის მომავალი ახალ, უნიკალურ ტრიუკებშია. მე არა ვარ მომხრე ასეთი განვითარებისა. აუცილებელი როდია ტანვარჯიშმა გააოგნოს მაყურებელი და მსაჯები, გაოცების ოხვრა და შეძახილები გამოიწვიოს. მთავარია მისი ესთეტიკური შინაარსი, მოძრაობის სილამაზე, სიმსუბუქე, სილბო, — აი, რისკენ უნდა ვისწრაფოდეთ. პროგრამის გართულება არ უნდა ვნებდეს ამ აუცილებელ კომპონენტებს.

**ვალენტინ მურატოვი,**

**სპორტის დამსახურებული ოსტატი.**

**რაც დრო** გადის, სულ უფრო ცხადი ხდება აკრობატული ფორმებისკენ ტენდენციური მისწრაფება. აკრობატიკა შეიჭრა ტანვარჯიშის სფეროში. და ეს ეპოქის, დროის ნიშანია. ტანვარჯიშის ხვალინდელ დღეზე რომ ვფიქრობ, პირველ ყოვლისა, თვალწინ წარმომიდგება სპორტსმენთა მასების ოსტატობის მნიშვნელოვანი ზრდა. იმას, რაც ამჟამად მხოლოდ რჩეულთათვისაა ხელმისაწვდომი, ხვალ ასობით და შეიძლება ათასობითაც სპორტსმენი იოლად გაართმევს თავს. მოწინავენი? რა[...] მათი განმასხვავებელი [...] ალბათ ის, რომ მოწინავე [...] მენები თანაბრად ძლი[...] იყვნენ ყველა იარაღზე [...] თავისუფალი, ისე სავა[...] პროგრამით ვარჯიშის დ[...] ლინდელი ჩემპიონი უკ[...] მისცემს თავს უფლებას [...] ქულები მის მიერ „ათ[...] ბულ“ იარაღებზე, ვინაიდ[...] იარაღი, საერთოდ, არ იქ[...]

**ნიკოლოზ მირონ[...]**

**საერთაშორისო კატეგორ[...]**

**ამბერ** უკვე 30 წელია [...] თამამად შემიძლია ვ[...] საბჭოთა ტანვარჯიშის სკ[...] მელსაც დღეს მთელი [...] აღიარებს, ჩემს თვალწინ [...] და. მაგრამ რაოდენ დი[...] იყოს მისი მიღწევები, [...] წინ მიდის და ძვე[...] ცვლის.

რაში ვხედავ ამ სი[...]

# ...ერესო ფურცლები

...გაიტანეს და დაწინაურდნენ, მაყურებელი ...ული გახდა ცრემლსადენი ბომბები გამო-

## ...ტა დროზე აიჭრება ცაში“

...ადის დედაქალაქი — გრენობლი გამალებით ...ორტული ფორუმისთვის. საფრანგეთის მთავ- ...ის თაობაზე, თითქოს სამშენებლო სამუშაოთა ...ახულ გეგმებს. „ოლიმპიური რაკეტა დროზე ...ახალგაზრდობისა და სპორტის საქმეთა მი- ...დეგ, რაც გრენობლში იმოგზაურა ინსპექციის

...დაესწრება 1-დან 3 მილიონამდე სპორტის

...დება 570 მილიონი ფრანკი, აქედან 70 პრო- ...ოდ სპორტული ნაგებობისთვის ამ თანხის მხო- ...რჩენი მოხმარდება გზების მშენებლობასა და ...ალებებსა და სხვ.

შენდება რკინიგზის ახალი სადგური, აეროდრომი. ფოსტამტი, კონსერვატორიისა და კულტურული ცენტრის შენობები, სადაც ოლიმპიადის მიმდინარეობის დროს დიდ მხატვრულ პროგრამას უჩვენებენ.

რაც შეეხება თვით სპორტულ ნაგებობებს, მომავალი წლის ივნისისთვის ქალაქში აიგება 12 ათას მაყურებელზე გათვალისწინებული საციგურაო, ციგურებით სწრაფრბენის ბილიკები და, რასაკვირველია, ოლიმპიური სოფელი და პრესცენტრი.

განსაკუთრებით ძვირი ჯდება გრენობლის გარე სამყაროსა და შეჯიბრებების ადგილებთან კომუნიკაციის საშუალებების გაუმჯობესება (167-კილომეტრიანი გზის მშენებლობისთვის დაიხარჯება 235 მილიონი ფრანკი). სამთო-მოთხილამურეთა შეჯიბრება გაიმართება შამრუსში, რომელიც გრენობლიდან 30 კილომეტრითაა დაშორებული, ხოლო ე. წ. „ჩრდილოეთის სახეობებში“ — სათხილამურო რბოლებსა და ტრამპლინიდან ხტომებში ასპარეზობა ჩატარდება ოტრანსში, რომელიც ქალაქიდან 35 კილომეტრზე მდებარეობს. მალე სამუშაო ყველგან დამთავრდება. სულ აიგება 6 ამწე, 3 ტრამპლინი, ბობსლეისა და სხვა ტრასები. ყველაზე დიდი, 90-მეტრიანი ტრამპლინის მშენებლობა (ნიზიერ-ან-ვერკურში) მხოლოდ ახლახან დაიწყო, მაგრამ მოსალოდნელია წლის ბოლომდე დამთავრდეს.

# ...ზე მოხუცი ...-ტყუპები

...ზე მოხუცი ტყუპები საქართველოში ცხოვ- ...მები ვლადიმერ და ტარას გოგოლები — ...წელი შეუსრულდათ. ძმებს სხვადასხვა ბე- ...ასი, რომელიც ძმაზე სულ ერთი საათით ...ახურობდა, მონაწილეობდა რუსეთ—იაპო- ...თსა და ბალტიისპირეთში. როცა ოქტომბ- ...ყო, ოფიცერი ტარას პეტრეს ძე გოგოლი ...ად ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის ...ლა იგი ცხაკაიას რაიონის სოფელ რეკაში ...ლებულობს არტელისგან, რომელშიც მრა-

...დასახლდა შვილებთან. მიუხედავად ხანდაზ- ...მათგანი სათვალეს არ ხმარობს, შესანიშნა- ...ჯანმრთელობას არ უჩივის. ძმებს-ტყუპებს ...შვილიშვილის შვილი ჰყავთ. ...გოგოლები ნარდის თამაშისას.

ფოტო ი. ჭოხონელიძისა (საქდესი).

# ვლტავა ცდის ნიჩბოსნებს

**პრაღა, 13 ივნისი.** აკადემიურ ნიჩბოსნობაში ევროპის ჩემპიონატის წინ კონტინენტის 9 ქვეყნის სპორტსმენებმა თავიანთი ძალები შეამოწმეს აქ გამართულ საერთაშორისო რეგატაში. ამგვარ შეჯიბრებაში პირველად მონაწილეობდნენ კუბელი სპორტსმენები. სსრ კავშირიდან ტურნირში მხოლოდ ქალები გამოდიოდნენ.

თავიანთ გაცურვებში გაიმარჯვეს მოსკოვის „დინამოს“ გასაშლელმა ოთხადგილიანმა და კომბინირებულმა (რიგის „დინამო“, ლენინგრადის „ტრუდი“) წყვილმოსასმელიანმა ორადგილიანმა ნავებმა. ჩვენი წყვილმოსასმელიანი ოთხადგილიანი (ლენინგრადის „სპარტაკი“) და რვაადგილიანი (ვილნიუსის „ჟალგირისი“) მეორენი იყვნენ. ორივე კლასის ნავებში პირველობა ისე, როგორც შარშან, გერმანელებმა მოიპოვეს. საბჭოთა ნიჩბოსანი ა. ბოჩაროვა ერთადგილიანებით ასპარეზობის ფინალში IV იყო. მას გაასწრეს გდრ-ის ორმა სპორტსმენმა და რუმინელმა ნიჩბოსანმა.

# ცდამ კარგი ნაყოფი გამოიღო



ყირგიზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტურიზმი დიდი პოპულარობით სარგებლობს. აქ ტრადიციად იქცა დასვენების დღეს ლაშქრობაში წასვლა. ამ საინტერესო ღონისძიებაში ყოველ კვირას 400-ზე მეტი სტუდენტი მონაწილეობს ხოლმე. აპრილ-მაისში სტუდენტებმა 6 მრავალდღიანი მოგზაურობა მოაწყეს I კატეგორიის სირთულის მარშრუტით.

ექსპერიმენტის სახით უნივერსიტეტის ტურისტულ სექციაში სუსტი ჯანმრთელობის სტუდენტებიც ჩარიცხეს. ამან კარგი ნაყოფი გამოიღო. უნივერსიტეტში მომზადებულია „სსრ კავშირის ტურისტის“ 400 ნიშნოსანი, 300-ზე მეტი თანრიგოსანი ტურისტი, 20 საზოგადოებრივი და ამდენივე უმცროსი ინსტრუქტორი.

სურათზე: ბიოლოგიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტის გ. ნოვოსელოვას გატაცება გველების დაჭერაა. იგი უნივერსიტეტის ტეტრარიუმის ერთ-ერთი აქტიური „მომმარაგებელია“.

ფოტო ა. პოლიაკოვისა (საქდესი).

# ...ის „ციებ-ცხელება“

ძოლებენ ყველა წონით კატეგორიაში, გარდა ქვემსუბუქისა-მეთქი.

მჩატე წონაში სასწორი, ალბათ, ა. ვახონინის მხარეს გადაიხრება. თუმცა მის ახალგაზრდა მეტოქეს გ. ჩეტინსაც შეუძლია მრავალჭიდის ჯამი 360 კილოგრამამდე აიყვანოს. ვფიქრობ, ეს საკმარისი იქნება გამარჯვებისთვის, თუ იაპონელები ს. ისინოსეკი და მიაკე-II სასწაულს არ მოახდენენ. ახლანდელი მსოფლიო ჩემპიონის, უნგრელი ი. ფიოლდისთვის კარგი სპორტული ფორმის შენარჩუნება ისევე ძნელია, როგორც ვახონინისთვის, ვინაიდან ორივე ხანშია შესული და თან ერთიც და მეორეც წონის დაკლების „დიდი მოყვარულია“.

იაპონელ ი. მიაკეს მეტოქეობას გაუწევენ მხოლოდ მისი თანამემამულე ჰ. ფუკუდა და პოლონელი მ. ნოვაკი. როგორც ნოვოსიბირსკის ჩემპიონატმა გვიჩვენა, ჩვენ არა გვყავს ქვემსუბუქი წონის ძალოსანი, რომელიც წარმატებით იბრძოლებდა ევროპის ჩემპიონის ოქროს მედლისთვისაც კი.

საბჭოთა მწვრთნელები დიდ იმედებს ამყარებენ ე. კაცურაზე (მსუბუქი წონა). ნოვოსიბირსკში მან იოლად გაიმარჯვა, მაგრამ არა ისე, როგორც სურდა — მსოფლიო რეკორდები არ დაუმყარებია. ჩემი აზრით, კაცურას ყველა საიმისო მონაცემი აქვს, რომ ბერლინში მრავალჭიდში მსოფლიოს ახალ რეკორდთან ერთად, „ოქროს ფინიშს“ მიაღწიოს. არა გვგონია, ზელინსკიმ ან ვინმე სხვამ მას გაუსწროს.

ძალიან ძლიერი სპორტსმენები გვყავს ქვესაშუალო წონაშიც. № 1, რასაკვირველია, ვ. კურენცოვია. იგი საოცრად ბედნიერ ვარსკვლავზეა გაჩენილი. კურენცოვი იმარჯვებს მაშინაც კი, როცა მეტოქენი არაფრით ჩამოუვარდებიან. თუ იგი შეძლებს აჭიმვაში 145 კილოგრამის სტაბილიზაციას, არა თუ მრავალჭიდში მსოფლიო რეკორდს დაიბრუნებს, არამედ მას 460 კილოგრამამდეც აიყვანს. კურენცოვს არაერთხელ დაუძლევია 135 კგ ატაცში, 180 კგ აკვრაში (მაისის ბოლოს მან 179 კგ აკრა და მსოფლიო რეკორდი დაამყარა).

460 კილოგრამის დაძლევა შეუძლია ვ. კაპლუნოვსაც, რომელიც მსუბუქი წონიდან საბოლოოდ გადაბარგდა ქვესაშუალოში. კაპლუნოვი ერთგვარად დააზღვევს კურენცოვს, მაგრამ ქვესაშუალო წონაში შეჯიბრების საბოლოო შედეგზე ლაპარაკი ჯერ ადრეა. სახელგანთქმულმა პოლონელმა სპორტსმენმა ვ. ბაჟანოვსკიმ არაერთხელ სცადა ბედი ამ წონით კატეგორიაში და, ალბათ, დიდი სიამოვნებაც მიიღო. დასაწყისისთვის 450 კგ არც თუ ისე ცუდია. სწორედ ამიტომ მთავარ მეტოქეებად ბაჟანოვსკი და იაპონელი მ. ოუტა უნდა ჩავთვალოთ.

ჩვენი სპორტსმენები მსოფლიო პირველობისთვის იბრძოლებენ საშუალო წონით კატეგორიაშიც. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნოვოსიბირსკის შეჯიბრებაში ნაჩვენები შედეგები კრიტერიუმად არ უნდა მივიჩნიოთ. გამარჯვებული გ. კოჩიევი ჯერჯერობით ვერ შეძლებს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლას. II და III პრიზიორები — ს. შარიპოვი და ვ. ბელიაევი მხოლოდ სერიოზული მომზადების შემდეგ შეძლებენ მიუახლოვდნენ უნგრელი დ. ვერეშის მსოფლიო მიღწევას — 477,5 კგ-ს — 4 წლის წინათ დამყარებულ რეკორდს.

ნოვოსიბირსკში ქვემძიმე წონის ძალოსანმა ე. ბროვკომ გაიმარჯვა შედეგით — 475 კგ. რასაკვირველია, ეს მსოფლიო ჩემპიონატში „ბრინჯაოს“ მოსაპოვებლადაც კი არ იკმარებს. ბერლინში გაიმარჯვებს ის, ვინც სულ ცოტა 490 კილოგრამს დააგროვებს. თუ დაშავებული ოლიმპიური ჩემპიონი ვ. გოლოვანოვი გამოჯანმრთელდა, ამას უთუოდ მიაღწევს. კარგი პერსპექტივები აქვს 22 წლის ი. ტალტსს, რომელმაც ნოვოსიბირსკში სრულად ვერ გამოიჩინა თავისი უნარი — 475 კგ დააგროვა და ვერცხლის მედალი მოიპოვა (ახალგაზრდა ათლეტი ბროვკოზე ცოტა მძიმე აღმოჩნდა).

ყველაზე მშვიდად ოლიმპიური ჩემპიონი ლ. ჟაბოტინსკი გრძნობს თავს. ბერლინის ფიცარნაგზე მას ამერიკელი ჰ. ჰუბნერის გარდა მეტოქე არ ეყოლება.

გუნდური ბრძოლისთვის მარტო ოქროს მედლებს როდი ექნება დიდი მნიშვნელობა. შეიძლება ოთხ წონაში გაიმარჯვო, მსოფლიო ჩემპიონის ტიტული კი ვერ მოიპოვო. ამჟამად ყოველ ქულას ოქროს ფასი აქვს. ამიტომ ბერლინის ჩემპიონატში ჩვენმა ძალოსნებმა, პირველ ყოვლისა, გუნდის ინტერესებისთვის უნდა იფიქრონ.

დარწმუნებული ვარ, რომ სსრ კავშირის ნაკრებს საკმაო რეზერვი ჰყავს საიმისოდ, რომ ცოტა არ იყოს, შერყეული პრესტიჟი აღიდგინოს.

**დ. ივანოვი,**
სპორტის დამსახურებული ოსტატი, აას-ის სპორტული მიმომხილველი.

# ავტოაკრობატიკა კატასტროფის პირას

ეს ფოტოგრაფია ხშირად გამოჩნდება ხოლმე დიდ დასავლეთგერმანულ ილუსტრირებულ ჟურნალებში. ორ ბორბალზე მიქრის თითქმის გადაბრუნებული მანქანა. სურათის ქვეშ წარწერაა: „მრბოლელ ხოსე განგას საავტომობილო აკრობატიკისთვის ჭირდება ექსტრა-საიმედო საბურავები: ეს მეტცელერის ფირმის საბურავებია, ვინაიდან მათ აქვთ ქსოვილის გარსი“.

„თუ ხოსე განგასავით ორი ბორბლით ივლით, — ხუმრობენ რეკლამის შემდგენლები, — საბურავები მხოლოდ ნახევრად გაგიცვდებათ. თუ ეს ხერხი ძალიან ექსტრავაგანტური გეჩვენებათ, არსებობს მეორეც: ზუსტად ასევე 50 პროცენტს მოიგებთ, თუ მეტცელერის ფირმის საბურავებით ისარგებლებთ“. რეკლამის ტექსტი იცვლება, ფოტოგრაფია კი იგივეა.

დავუბრუნდეთ ზემოხსენებულ ხოსე განგას. როცა იგი აკრობატულ ნომრებს ასრულებს, რათა რეკლამა გაუკეთოს საბურავებს, მას ხუმრობისთვის როდი სცალია. საქმე ის არის, რომ ბოლო წლებში ასეთი საავტომობილო ტრიუკების შედეგად ოცზე მეტი მრბოლელი დაიღუპა. და ეს მხოლოდ დასავლეთ ევროპაში!



# ...ი ირჩევს მომავალს

თქმა უნდა, ჩვენ გველის ორიგინალური, ურთულესი ვარჯიშები (სწორედ ამის წინამორბედია დიომიდოვის გასაოცარი ბრუნი ცალ ხელზე ორძელზე ვარჯიშის დროს და ლისიცკის ფინალური ნახტომი ძელიდან ორმაგი პირუეტით).

მაგრამ მთავარი ეს როდია. მახსოვს, ტანმოვარჯიშეთა პირველ ომამდელ ჩემპიონატებს ორასი-სამასი კაცი ესწრებოდა ხოლმე. ახლა მკვეთრად შეიცვალა თვით ასპარეზობის პირობებიც. შეჯიბრებებს მრავალი ათასი, ტელევიზიის მეოხებით კი ხშირად მილიონობით მაყურებელიც ჰყავს. გაფართოვდა კორესპონდენტთა წრეც. ყოველივე ეს გაცილებით მეტს ავალებს სპორტსმენებს. უნდა იფიქრო ყოველ ნაბიჯზე, ყოველ მოძრაობაზე არა თუ იარაღზე, იარაღთანაც. გვსურს თუ არა, თეატრალურობამ და სანახაობრიობამ თავისებური, ახალი ფორმა და შინაარსი შესძინა ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრებებს. სწორედ ამ გზით გავითარდება შემდეგში მათი პროგრამა. ადრე ეს იყო მხოლოდ ვარჯიშების კრებული, სადაც მოწინავე ადგილი ძალას, მოქნილობას, სიმამაცესა და ოსტატობას ეპყრა. ახლა, და მით უმეტეს ხვალ კი, ყოველივე ამას არტისტულობაც უნდა ახლდეს.

გამარჯვების უპირველესი საწინდარია ელეგანტურობა, მოხდენილობა და, თუ გნებავთ, შთაგონებაც.

**ვლადიმერ რეისონი,**
რსფსრ-ს დამსახურებული მწვრთნელი.

**ბედნიერი** ვარ, რომ ჩემმა აღზრდილმა ნატაშა კუჩინსკაიამ საბჭოთა კავშირის უძლიერესი ტანმოვარჯიშის სახელი მოიპოვა. ნატაშა ისე ახალგაზრდაა, ტანვარჯიშის ხვალინდელი დღე მისი დღეც არის. აი, რატომაა, რომ, როცა მომავალზე ვფიქრობ, ნატაშა მიდგას თვალწინ. ტექნიკა, რაც უნდა მაღალი იყოს იგი, თვითმიზნად არ უნდა ვაქციოთ. ტანვარჯიშის უმნიშვნელოვანესი ამოცანა პლასტიურობის, გრაციულობის, სილბოსა და ფორმის გამომსახველობის მიღწევაა. დასანანია, რომ მხოლოდ ეფექტისთვის გამიზნულ ტრიუკებს ჯერ კიდევ ბევრი მომხრე ჰყავს. სამწუხაროდ, მათ ამ პირველობაშიც შეხვდებოდით. ასეთ ტენდენციას დიდი რისკისა და ზიანის მეტი არაფერი მოაქვს თვით სპორტსმენების ჯანმრთელობისთვის, თანაც ჰარმონიულ ფიზიკურ განვითარებასაც უშლის ხელს. ჩვენთვის კი მთავარია, პირველ ყოვლისა, ადამიანი. აი, რატომ უნდა ვესწრაფოდეთ, რომ ხვალინდელმა ტანვარჯიშმა არ დაკარგოს თვითმყოფადი სპორტის სახე, არ მოაკლოს მის თაყვანისმცემლებს ადამიანის ლამაზი, ყოველმხრივ განვითარებული სხეულის ხილვით გამოწვეული სიხარული.

ცირკის ტრიუკები კი, მოდით, ისევ ცირკს დავანებოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქუთაისში დღეს დამთავრდა „შრომითი რეზერვების“ XIX ზონალური სპარტაკიადა. ეს საინტერესო ღონისძიება მიეძღვნა დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავს. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ ქუთაისის, ბათუმის, ფოთის, სამტრედიის, წულუკიძის, ტყიბულის, ტყვარჩელისა და ქობულეთის პროფტექნიკური სასწავლებლების ფიზკულტურული კოლექტივები. შეჯიბრების პროგრამა მოიცავდა 11 სახეობას.

სურათზე: სამტრედიის 28-ე და ფოთის მე-12 პროფტექნიკური სასწავლებლების ფრენბურთელთა შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.
ფოტო მ. ზარგარიანისა.
(ჩვენი სპეც. კორ.).

# შესანიშნავ ფორმაში

ლენინგრადი, 13 ივნისი. ევროპის შარშანდელი პირველობის ვერცხლის პრიზიორებმა — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის ნიჩბოსნებმა (პირველი მენიჩბე ი. ხოდოროვი) გუშინ ხეპო-იარვის ტბაზე გამართულ შეჯიბრებაში სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვეს რვაადგილიანი ნავებით რბოლაში — 6.02,0. II იყო ლენინგრადის „ბურევესტნიკის“ ეკიპაჟი (პირველი მენიჩბე ტ. ილინსკი) — 6.04,4. თანაქალაქელებთან 1 წამით წააგო ლენინგრადის „სპარტაკის“ ნავმა (პირველი მენიჩბე ი. რიბაკი), მაგრამ სპორტსმენები მაინც კმაყოფილი დარჩნენ, ვინაიდან „ბრინჯაომ“ მათ სპორტის ოსტატობა მოუტანა.

აქ გამართული შეჯიბრება სხვა კლასების ნავებისთვის წარმოადგენდა მხოლოდ მსოფლიო პირველობისთვის შესარჩევ ტურნირს (იგი სექტემბერში გაიმართება იუგოსლავიაში). ხეპო-იარვის ტბაზე ჩატარებული ასპარეზობა რვაადგილიანი, ოთხადგილიანი და ერთადგილიანი ნავებისთვის ბოლო გამოცდა იყო, ხოლო ორიანებისთვის — პირველი (მათი მეორე შერჩევითი შეჯიბრება მოსკოვში მოეწყობა).

მესაჭიანი ორიანების რბოლაში სიურპრიზი იყო ორიოდე კვირის წინათ ჩვენს ქვეყანაში უძლიერესის — „ჟალგირისის“ უმესაჭო ოთხიანიდან ამ კლასის ნავზე „გადასახლებული“ ი. მატეკნასა და ვ. ბრეიდისის (მესაჭე რ. ჟილინსკასი) გამარჯვება — 7.53,4. მათ 1 წამით ჩამოიტოვეს ევროპის ჩემპიონები — მოსკოვის სპარტაკელები.

ერთადგილიანი ნავებით ტურნირში კონკურენციის გარეშე იყო მსოფლიოს ჩემპიონი, სამგზის ოლიმპიური და ევროპის ხუთგზის ჩემპიონი ვ. ივანოვი. ორადგილიანი გასაშლელი ნავებით რბოლა მოიგო ევროპის პირველობის III პრიზიორების — ი. სუსლინისა და ა. ფიოდოროვის, ხოლო ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავებისა — ო. ტიურინ — ბ. დუბროვსკის ეკიპაჟმა.

მესაჭიანი ოთხადგილიანი ნავებით ასპარეზობაში უძლიერესნი აღმოჩნდნენ ევროპის ორგზის ჩემპიონები — მოსკოვის სპარტაკელები (პირველი მენიჩბე ვ. ევსეევი). უმესაჭო ოთხიანებში გაიმარჯვა „ჟალგირისის“ (პირველი მენიჩბე ზ. იუკნა) ნავმა.

— შეჯიბრებამ გვიჩვენა ნიჩბოსნების კარგი მომზადება, — განუცხადა საკდესის კორესპონდენტს სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ე. სამსონოვმა. — სპორტსმენები შესანიშნავ ფორმაში არიან.

# უახლოეს ორ ზამთარს

მილანი, 13 ივნისი. მოციგურეთა ინტერნაციონალურმა კავშირმა (ისუ) ქ. სირმიონში გამართულ თავის სხდომაზე დაამტკიცა უახლოესი ორი ზამთრის განმავლობაში ჩასატარებელი საერთაშორისო ჩემპიონატების სრული კალენდარი. აი, იგი:

**1967 წელი. ფიგურული სრიალი:** ევროპის ჩემპიონატი (ლიუბლიანა, იუგოსლავია) — 1-5 თებერვალი, მსოფლიო ჩემპიონატი (ვენა, ავსტრია) — 28 თებერვალი-5 მარტი; **ციგურებით სწრაფრბენა:** ევროპის ჩემპიონატი (ლაჰტი, ფინეთი) — 28-29 იანვარი, მსოფლიო ჩემპიონატი (ოსლო, ნორვეგია) — 11-12 თებერვალი, ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი (დევენტერი, ჰოლანდია) — 18-19 თებერვალი.

**1968 წელი. ფიგურული სრიალი:** ევროპის ჩემპიონატი (ჟენევა, იტალია) — 24-28 იანვარი, მსოფლიო ჩემპიონატი (ჟენევა, შვეიცარია) — 27 თებერვალი-3 მარტი, ოლიმპიური თამაშები (გრენობლი, საფრანგეთი) — 6-18 თებერვალი; **ციგურებით სწრაფრბენა:** ევროპის ჩემპიონატი (ოსლო, ნორვეგია) — 27-28 იანვარი, მსოფლიო ჩემპიონატი (გეტებორგი, შვეცია) — 24-25 თებერვალი, ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი (ჰელსინკი, ფინეთი) — 27-28 იანვარი, ოლიმპიური თამაშები (გრენობლი, საფრანგეთი) — 6-18 თებერვალი.

### აი, ესენი ითამაშებენ ინგლისში

# ბობი მური

„ინგლისისთვის ახლა ყველაფერი ახლებურად იქნება — საკუთარი მაყურებლის წინ თამაში კარგი შესაძლებლობაა ჟიულ რიმეს თასის მოსაპოვებლად. ჩილიში ჩვენს მატჩებს საშუალოდ 6.000 კაცი ესწრებოდა. მოსაწყენი ატმოსფერო იყო და ისეთი გრძნობა გვეუფლებოდა, თითქოს ჩვეულებრივ მატჩს თამაშობ და არა მსოფლიო ჩემპიონატისას. მხოლოდ ბრაზილიასთან ჩვენს შეხვედრაზე მოვიდა დაახლოებით 30.000 კაცი.

დღეს ყოველმა ინგლისელმა გულშემატკივარმა იცის — ან ახლა ან, შეიძლება, არასოდეს. ამაზე კარგი შესაძლებლობა მსოფლიო ჩემპიონობის მოსაპოვებლად ინგლისს აღარ ექნება.

ვის ეპარება ეჭვი, რომ ჩვენ, ინგლისის ნაკრების ფეხბურთელებს, გამარჯვება გვწადია ისე, როგორც არავის“.

ეს სიტყვები ეკუთვნის ინგლისის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ძირითად მოთამაშეს და კაპიტანს, შესანიშნავ ფეხბურთელს ბობი მურს. კომენტარები, როგორც იტყვიან, ზედმეტია. იგი ნათლად გამოხატავს ინგლისელთა ზრახვებს ჟიულ რიმეს თასისთვის ბრძოლის წინ.

სურათზე: ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ა. რამსეი ვარჯიშის წინ ესაუბრება ბ. მურს.



### ზ. ჰერბერგერი:

# ვერ ვხედავ აშკარა ფავორიტს

„ბებერ მელად“ წოდებული ზ. ჰერბერგერი 28 წლის განმავლობაში იდგა სათავეში გერმანელ ფეხბურთელებს და ოთხჯერ ხელმძღვანელობდა გფრ-ის ნაკრებს მსოფლიო პირველობებზე.

ამას წინათ ზ. ჰერბერგერმა ჟურნალისტებთან საუბარში ილაპარაკა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის შესახებ:

— ჩემი აზრით, ინგლისში აშკარად გამოხატული ფავორიტი არაა. ბრაზილიის გუნდიც კი ახლა უნდა შევაფასოთ როგორც ერთ-ერთი თანასწორთა შორის.

ბრაზილიასთან ერთად ხშირად ასახელებენ ინგლისს და ძირითადად იმის გამო, რომ იგი ჩემპიონატის მასპინძელია. ეს ასეცაა. თუ ინგლისელები კარგად ითამაშებენ, მერწმუნეთ, მხოლოდ იმიტომ, რომ შეჯიბრება მათ მინდორზე ტარდება.

რა შეიძლება ითქვას გერმანელთა შანსებზე? ჩვენ ძნელ ჯგუფში მოვხვდით და სათანადოდ უნდა შევაფასოთ მეტოქეები.

თქმა იმისა, თუ რომელი გუნდები გავლენ მეოთხედფინალში, ძნელია. თვითეულ ჯგუფში 3-3 გუნდი მაინცაა, რომელთაც შეუძლიათ დასკვნით თამაშებში მოხვედრა.

I ჯგუფში უპირატესობას ანიჭებენ ინგლისს. ამ აზრს შეიძლება ჩვენც შევუერთდეთ. ურუგვაისაც აქვს კარგი შანსები, მაგრამ ამ ჯგუფში ხომ ფრანგებიც არიან?

II ჯგუფში შანსები თანაბარია, მაგრამ მაინც მეოთხედფინალში უნდა გავიდნენ არგენტინელები და გერმანელები.

III ჯგუფი ძნელია. თუ მაინცდამაინც არჩევანის მოხდენაა საჭირო, მე ბრაზილიასა და პორტუგალიას ავირჩევდი. მაგრამ რა ვუყოთ უნგრეთს?

IV ჯგუფში შანსები სსრ კავშირისა და იტალიის გუნდების მხარეზეა. საბჭოთა კავშირი პირველ ადგილზე გავა, იტალია — მეორეზე, — ასეთია ჩემი აზრი.

ზ. ჰერბერგერი მსოფლიო ჩემპიონატის საპატიო სტუმარი იქნება.

# ა. სიმონსონის პროგნოზები

ცნობილმა შვეციელმა თავდამსხმელმა, მსოფლიოს VI ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანმა ა. სიმონსონმა ამას წინათ უპასუხა ბერლინის „დოიჩეს შპორტ-ეხოს“ მიმომხილველის შეკითხვებს.

სიმონსონის აზრით, I ადგილის ძირითად პრეტენდენტად ბრაზილია უნდა ჩაითვალოს, „მე მუდამ № 9 მაისურით გამოვდივარ მინდორზე და ვიცი, რომ მაყურებელს, უპირველეს ყოვლისა, შეტევა და გოლი უყვარს. ამიტომ არიან პოპულარული ბრაზილიელები, ამიტომ უყვარდათ უნგრეთის ადრინდელი დიდი ნაკრები. „ინტერი“ კი, მიუხედავად მისი მაღალი სატურნირო შედეგებისა, პოპულარობით არ სარგებლობს“.

სიმონსონმა აღნიშნა, რომ ინგლისელები მას ბრაზილიელთა ძირითად მეტოქეებად მიაჩნია. საპრიზო ადგილის პრეტენდენტად შვეციელი ვეტერანი მიიჩნევს სსრ კავშირის ნაკრებსაც, რომელიც „კოლექტიური სულისკვეთების გუნდად“ მიაჩნია. „შეგიძლიათ მენდოთ: ამ გუნდის წინააღმდეგ 4 მატჩი მითამაშია“, — დასძინა სიმონსონმა.




### რას ფიქრობს

# უ. უინტერბოტომი?

ინგლისის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა უ. უინტერბოტომმა პროგნოზი გააკეთა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის წინ.

— პირველ ჯგუფში გაიმარჯვებენ ინგლისისა და საფრანგეთის გუნდები, მეორეში — არგენტინა და გფრ, მესამეში — ბრაზილია და პორტუგალია, მეოთხეში — სსრ კავშირი და იტალია.

რაც შეეხება ნახევარფინალს, აქ თამაშის უფლება უნდა მოიპოვონ ინგლისმა, არგენტინამ, ბრაზილიამ და სსრ კავშირმა. რა მოხდება შემდეგ, ამას მომავალი გვიჩვენებს. ყოველ შემთხვევაში, ინგლისელებს პირველობის მოპოვების დიდი შანსები აქვთ.

### ჯალმა სანტოსი:

# შევინარჩუნებთ მსოფლიო ჩემპიონობას!

ცნობილმა ბრაზილიელმა მცველმა ჯ. სანტოსმა, რომელმაც ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში 91 მატჩი ჩაატარა, პრესის წარმომადგენლებს განუცხადა: „ტურნირი ინგლისში ბრაზილიელთათვის უფრო ძნელი იქნება, ვიდრე წინა ორი მსოფლიო ჩემპიონატი. ჩვენ ფავორიტებად ვითვლებით, ამიტომ ყველა გაორკეცებული ენერგიით გვეთამაშება.

ჩვენი ყველაზე ძლიერი მეტოქეები იქნებიან სსრ კავშირი, იტალია და ინგლისი. ინგლისელებს, როგორც მასპინძლებს, გარკვეული უპირატესობა აქვთ. საბჭოთა კავშირის ნაკრებს ჩვენ მოვუგეთ შვეციასა და მოსკოვში, მაგრამ შარშან რიო-დე-ჟანეიროში მასთან მხოლოდ ფრეს დავჯერდით.

იტალიელებს ან საბჭოთა ფეხბურთელებს შეიძლება მეოთხედფინალში შევხვდეთ. იტალიას მუდამ ძლიერი გუნდი ჰყავდა, ამასთან, ჩვენ აქცენტს ვაკეთებთ შეტევაზე, იტალიელები კი — დაცვაზე. საერთოდ, ჩვენთან შეხვედრაში მეტოქეები ძირითადად თავიანთი დაცვის იმედით იქნებიან. ყოველნაირად უნდა შევუშალოთ ხელი გაგვიტანონ გოლი, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ყრუ დაცვაზე გადავლენ.

მეორეს მხრივ, ჩვენ ისეთი მოთამაშეები გვყავს, რომლებსაც შეუძლიათ თამაშში გარდატეხის შეტანა. მხედველობაში მაქვს პელე და გარინჩა. მათ შეუძლიათ სხვა მოთამაშეთა დაუხმარებლადაც გაიტანონ გოლები.

დიდი ბრძოლის გადატანა მოგვიხდება ფინალში გასასვლელად. მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვარ კვლავ მოვიპოვებთ მსოფლიო ჩემპიონის წოდებას“.

# პრიზი ბრაზილიელებს

იტალიის ქალაქებში — ტურინსა და მილანში მიმდინარეობდა საფეხბურთო ტურნირი „ქალაქ ტურინის თასზე“, რომელშიც მონაწილეობდნენ ბრაზილიის „კორინტიანსი“, ესპანეთის „ესპანიოლი“, ტურინის „იუვენტუსი“ და მილანის „ინტერნაციონალე“.

I ადგილი და პრიზი მოიპოვა „კორინტიანსმა“, რომელმაც ფინალში ფრედ ითამაშა „ესპანიოლთან“ — 1:1. გამარჯვებული გამოავლინა 11-მეტრიანმა საჯარიმო დარტყმებმა. ბრაზილიელებმა 6-დან 4 გაიტანეს, ხოლო ესპანელებმა — 3.

აღსანიშნავია ესპანელთა ცენტრფორვარდის ა. დი სტეფანოს შესანიშნავი თამაში.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

**თბილისის სპორტული ცხოვრება**

ხელბურთი. სპორტის სასახლე. ქალთა გუნდების საერთაშორისო შეხვედრები. 15 ივნისი. „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — ბულგარეთი (ნაკრები). 16 ივნისი. საქართველო (ნაკრები) — ბულგარეთი (ნაკრები). დასაწყისი 20 ს.

საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭო იუწყება მსოფლიო ჩემპიონატისა და ოლიმპიური თამაშების პრიზიორის, ევროპის ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის

**ფარნაოზ ლუკას ძე ჩიკვილაძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია იუწყება სახელგანთქმული მოჭიდავის, სპორტის დამსახურებული ოსტატის

**ფარნაოზ ლუკას ძე ჩიკვილაძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ИНДЕКС 66418 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 11 უე 04987